დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი № 16

ქ. დმანისი

27.12.2019 წელი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა ჩატარდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში 2019 წლის 27 დეკემბერს 11: 00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე: თეიმურაზ აფრასიძე

მდივანი: ლომა გადრანი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1: თეიმურაზ აფრასიძე

2: აიდინ შარიფოვი

3: ზაურ გრიგალაშვილი

4: ემილ იბრაგიმოვი

კომისიის სდომას ესწრებოდა:

კომისიის სხდომას ესწრება კომისიის 4 წევრი , კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის თავმჯდოამარემ კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი;

1. დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდ დმანისში არსებული ნაკვეთის (ს/კ 82.12.45.380) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

კომისიის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

მოისმინეს:

თეიმურაზ აფრასიძე - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდ დმანისში არსებული ნაკვეთის (ს/კ 82.12.45.380) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი''-ს 43-ე მუხლის 1. პუნქტის, ამავე კანონის 42-ე მუხლის 2. ა) და 4. პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული ,,სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი''-ს მე-19 მუხლის 2. პუნქტის და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 24/12/2013, N07/5296 წერილის შესაბამისად, კომისიამ განიხილა დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი დმანისში არსებული ნაკვეთის (ს/კ 82.12.45.380) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია.

1. აზრი გამოთქვეს: ზაურ გრიგალაშვილმა , და ემილ იბრაგიმოვმა განსხვავებული აზრი არ დაფიქსირდა.

1. დაადგინეს:

კომისიამ მოიწონა და გადაწყვიტა წარედგინოს აღნიშნული საკითხი საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა დახურულად.

კომისიის თავმჯდომარე: **თ. აფრასიძე**

მდივანი: ლ.გადრანი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომებში მონაწილეობის აღრიცხვის ფურცელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. თეიმურაზ აფრასიძე
2. ნიაზ მაჯითოვი
3. გეგი უმფრიანი
4. აიდინ შარიფოვი
5. ზაურ გრიგალაშვილი
6. დავით მენაბდიშვილი
7. შოთა აკობაშვილი
8. ემილ იბრაგიმოვი

კომისიის თავმჯდომარე: თ. აფრასიძე

თარიღი:27.12.2019 წ.